განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
პროგრამა: ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 2018 წლის 11-13 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი

2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი:	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	სადოქტორო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი 02
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პაველ ზუფანი მენდელის უნივერსიტეტი ბრნოში ზემედელსკა 1, 61300 ბრნო, ჩეხეთის რესპუბლიკა
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. გოჩა თუთბერიძე
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ბ-ნი ოთარ ქირია
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  პროგრამის აკრედიტაცია მოხდა 2012 წლის 6 ივლისს (რეზოლუცია N733). პროგრამა შემუშავებულია ECTS სისტემის შესაბამისად, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელიც ფარავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. კრედიტების განაწილება მოცემულია პროგრამის კურიკულუმში. პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი (6 სემესტრი) და მოიცავს 180 კრედიტს. სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი, კვლევითი კომპონენტი - -120 კრედიტი, საიდანაც 60 კრედიტი წარმოადგენს სამ კოლოკვიუმს, ხოლო 30 კრედიტი გამოყოფილია სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისა და დასრულებისთვის.
  მიუხედავად ზოგიერთი შენიშვნისა პროგრამის მიზნების, სტუდენტებთან უკუკავშირის დამყარებისა და სწავლის შედეგების აღწერის მიმართ, იგი განიხილება როგორც სიცოცხლისუნარიანი და ხარისხის საჭირო კრიტერიუმების შესაბამისი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  აკრედიტაციის ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული. ექსპერტთა ჯგუფისათვის შექმნილი პირობები შეესაბამებოდა სამუშაოს და იძლეოდა შეფასების პროცესის ნორმალურ ვითარებაში წარმართვის შესაძლებლობას. ზოგიერთი შეხვედრა სრულად არ შეესაბამებოდა ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნებს - სტუდენტთა უმრავლესობა ინგლისურად არ საუბრობდა, საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა უმრავლესობას ჯერ კიდევ ურთიერთობა ჰქონდა უნივერსიტეტთან (ძირითადად ლექტორების როლში) მიუხედავად ამისა, ვიზიტი იყო ნაყოფიერი და მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჯგუფის მიერ პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელი ცოდნის გაღრმავებაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  სტანდარტის შეუსაბამობასთან დაკავშირებული საკითხი არ გამოვლინდა. ამგვარად, პროგრამა შეესაბამება ყველა განსაზღვრულ სტანდარტს.

- **რეკომენდაციები:**

  რეკომენდაციები ჩამოყალიბდა შემდეგ სტანდარტთან მიმართებით:

  სტანდარტი 1.1:
  - ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა, სადაც გამოჩნდება, რომ მიზნები დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან;
  - პროგრამას უნდა გააჩნდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რაც შესაძლებლობას მისცემს სასწავლო პროცესს, რომ მიაღწიოს სწავლის შედეგებს;
  - პროგრამამ უნდა განსაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რომლებიც დაწესებულებას უზრუნველყოფს ეფექტური მონიტორინგით და მოგვიანებით გამოიყენება პროგრამის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

  სტანდარტი 1.2:
  - დააკონკრეტეთ სწავლის შედეგები იმგვარად, რომ მათ რეალისტურად ასახონ პროგრამის შინაარსი.

  სტანდარტი 2.2:
  - შესთავაზეთ სტუდენტებს არჩევითი კურსების უფრო დიდი არჩევანი, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, ჩამოიყალიბონ ინდივიდუალური პროფილი მათი აკადემიური ინტერესების გათვალისწინებით.

2.3 სტანდარტთან დაკავშირებით:

- შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა როგორც პროგრამის, ისე კურსების დონეზე;
- სილაბუსის -,,სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემები ტრანსპორტსა და ინდუსტრიაში"- შემუშავება უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მესამე დონის მოთხოვნების შესაბამისად .
- შემუშავდეს სწავლის შედეგები სადოქტორო ნაშრომისათვის;

2.5:

- სხვადასხვა კურსების განსხვავებული მოთხოვნების ასახვის მიზნით გაიმიჯნოს გამოყენებული სწავლების მეთოდების აღწერა;
- მოხდეს სწავლის შედეგების აღწერის სტანდარტიზაცია;

3.1:

- გაიზარდოს სტუდენტთა "გამოჩენა" საერთაშორისო პროგრამებში მეტი საერთაშორისო მეცნიერის და პედაგოგის მოწვევით;

სტანდარტი 5.3:

- გააკეთეთ კურსზე გამოხმაურების კითხვარების შეგროვების სისტემატიზაცია და აჩვენეთ რეაგირება იდენტიფიცირებულ საკითხებზე;
- დაიწყეთ პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევების შედეგების შეგროვება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - დააკონკრეტეთ პროგრამის ამოცანები იმგვარად, რომ მკაფიოდ აჩვენებდეს პროგრამის მიზანს და შეესაბამებიდეს მის შინაარსს.
  - გააუმჯობესეთ სწავლის შედეგების აღწერა, რათა უფრო კონკრეტულად ერგებოდენენ კონკრეტულ პროგრამას.
  - მიეცით შედეგების შეფასებას ოფიციალური ხასიათი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათზე მუშაობს საკმარისი მტკიცებულებება.
  - გააუმჯობესეთ ვებ-გვერდზე მოცემული ინფორმაცია (სახელდობრ, ინგლისური ვერსია).
  - იფიქრეთ პროგრამის უფრო სპეციფიურად მორგებაზე კურსდამთავრებულთა კონკრეტული "სამიზნე" თანამდებობებისათვის.
  - დაფიქრდით იმაზე, რომ დოქტორანტ სტუდენტებს შესთავაზოთ მესამე საფეხურისთვის შესამისი აკადემიური კურსები, როგორიცაა თანამედროვე კვლევა მენეჯმენტში, ფინანსებში, მარკეტინგში და სხვ.
  - დაფიქრდით იმაზე, რომ გაიზარდოს კურსის- კვლევის მეთოდოლოგია- კრედიტების რაოდენობა, რათა სტუდენტებმა პრაქტიკული გამოცდილებაც მიიღონ თანამედროვე კვლევითი პროგრამების გამოყენების გზით.
  - იყავით უფრო კონკრეტულები თითოეული კურსისთვის სწავლის შედეგების განსაზღვრისას.
  - ხელი შეუწყვეთ სტუდენტთა მეტ მონაწილეობას კვლევით პროექტებსა და აქტივობებში შიდა გრანტების და პოტენციური კვლევითი სტიპენდიების მეშვეობით- მაგ; გამოიყენეთ გერმანიასთან ურთიერთბის პოტენციალი.
  - შეიტანეთ სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ კითხვები სტუდენტების მიერ კურსის შეფასების კითხვარში;
  - ორგანიზება გაუწიეთ თანამშრომლებისათვის ბოლონიის პროცესთან დაკავშირებულ სემინარებს და ვორქშოპებს (მათ შორის, მუშაობა ფოკუსით ILO-ებზე და SCL-ზე).
  - უზრუნველყავით ოფიციალური (დასაბუთებადი) უკუკავშირი სტუდენტებთან მათი შეფასების თაობაზე, მათ შორის რეკომენდაციები სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.
  - სტუდენტებისათვის არსებული მომსახურებების გაცნობა შესაძლოა გაუმჯობესდეს მეტი ინფორმაციის განთავსებით ვებ-გვერდზე და სტუდენტებთან კომუნიკაციის სხვა არხებზე.
  - გაზარდეთ სტუდენტთა ინფორმირებულობა ხელმისაწვდომ საერთაშორისო რესურსებზე და მათთვის დახმარება დისერტაციისთვის ამ რესურსების გამოყენებაზე.

- განახორციელეთ არსებული მომსახურებებისა და რესურსების სისტემატიზაცია და უზრუნველყავით მათი მკაფიო განმარტება ვებ-გვერდზე, პასუხისმგებელი თანამშრომლების ბმულებით.
- შეინახეთ ჩანაწერები შემოსულ მოთხოვნებზე გაწეულ მომსახურებებზე და გამოიყენეთ ეს ჩანაწერები ძალისხმევის გასაუმჯობესებლად.
- განიხილეთ კონფერენციებზე მონაწილეობისა და დახმარების სხვა ფორმების დაკავშირება ინდივიდუალური პროფესიული ზრდის გეგმებთან.
- მოამზადეთ ინვესტირების გეგმა ფიზიკური ინფრასტრუქტურის უახლეს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.
- განიხილეთ დამატებითი ფინანსების გამოყოფა სტუდენტთათვის საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობის წასახალისებლად.
- ყურადღება მიაქციეთ ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს, მათ შორის სტუდენტის/პერსონალის/კურსდამთავრებულის/დამსაქმებლის გამოხმაურების კითხვარებს და მათი შედეგების დამუშავებასა და გამოქვეყნებას.
- პროგრამის მზადყოფნისა და საერთაშორისო ვალიდურობის დემონსტრირების მიზნით განიხილეთ საერთაშორისო აკრედიტაციისათვის მომზადება და განაცხადის შეტანა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - ფოკუსი სტუდენტთა პედაგოგიურ მომზადებაზე;
  - პროგრამაზე მიღების გამჭვირვალე პირობები.
  - თანამშრომლობა ვაიმარის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან და სტუდენტთა ჩართვა;
  - საინფორმაციო სისტემა, რომელიც იძლევა სტუდენტთა შეფასების გამოქვეყნების შესაძლებლობას.
  - ინდივიდუალური მიდგომა სტუდენტისადმი.
  - ხარისხის უზრუნველყოფის გუნდში პროგრამის პერსონალის სისტემატური ჩართულობა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - კარგი რეაქცია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.
  - მიიჩნევა ერთადერთ სადოქტორი პროგრამად აღნიშნულ დარგში.
  - სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის დადებითად შეფასება.
  - სტუდენტთა მიერ მოწონებული პროგრამის მოქნილობა;
  - სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობა და ობიექტურობა;
  - პროგრამის ფინანსური სტაბილურობის საშულაებით ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარებაში დახმარების უზრუნველყოფა;
  - პერსონალის კმაყოფილება კონფერენციებისთვის გამოყოფილი დაფინანსებით და ა.შ.
  - ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის აქტიური ზრდა;
  - პროგრამის მდგრადი ბიუჯეტი მისი გაგრძელების უზრუნველსაყოფად;
  - თავდადებული პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები ძალიან ზოგად დონეზეა განსაზღვრულია პროგრამის შიგნით, მაგრამ თვითშფასების ანგარიში მას მისაღებად მიიჩნევს. მიზნები მიღწევადია და გამოხატავს დაწესებულების მისიას, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ბმა საკმაოდ ზოგადია. შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა მხოლოდ გამოხატულია, თუმცა რაიმე მკაფიო მტკიცებულების გარეშე. დეკლარირებული წვლილი სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში უფრო პროკლამაციურია, ვიდრე რეალურად მიღწევადი -"ცოდნაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის უზრუნველყოფა და სიცოცხლის სტანდარტების გაუმჯობესება" აშკარად განეკუთვნება საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად მიზნებს, მაგრამ პროგრამასთან დაკავშირებული განსაზღვრება უნდა იყოს უფრო კონკრეტული. პროგრამას უნდა ჰქონდეს პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუქა, სადაც გამოჩნდება თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის ამოცანები სწავლის შედეგებთან და პროგრამას უნდა ჰქონდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც მას მისცემს სწავლის შედეგების განსაზღვრის შესაძლებლობას. პროგრამამ უნდა განსაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რომლებიც დაწესებულებას უზრუნველყოფს ეფექტური მონიტორინგით და მოგვიანებით გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სტუ-ს ვებ-გვერდი; ○ გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების გუნდთან.
რეკომენდაციები: ○ ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუქა, სადაც გამოჩნდება, რომ მიზნები დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან; ○ პროგრამას უნდა გააჩნდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რაც შესაძლებლობას მისცემს სასწავლო პროცესს, რომ მიაღწიოს სწავლის შედეგებს; ○ პროგრამამ უნდა განსაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რომლებიც დაწესებულებას უზრუნველყოფს ეფექტური მონიტორინგით და მოგვიანებით გამოიყენება პროგრამის მუშაობის გასაუმჯობესებლად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის : ○ დააკონკრეტეთ პროგრამის ამოცანები იმგვარად, რომ მკაფიოდ აჩვენებდეს პროგრამის მიზანს და შეესაბამებიდეს მის შინაარსს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ ფოკუსი სტუდენტთა პედაგოგიურ მომზადებაზე;
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ კარგი რეაქცია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგებიც საკმაოდ ზოგად დონეზეა აღწერილი - წარმოსადგენად რთულია, რომ კურსდამათრებულს ექნება ,,ღრმა თეორიული ცოდნა ბიზნესის სხვადასხვა სფეროებში". არც ყველა კომპონენტია მკაფიოდ დაკავშირებული პროგრამის შინაასრთან, სწავლის შედეგების შეფასების მიმოხილვა მეტწილად ხდება არაფორმალურად, ნაკლები მტკიცებულებების წარმოდგენით საბჭოს სხდომებზე და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი და კურსების სილაბუსები; ○ გასაუბრებები სტუ-ს პერსონალთან. ○ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: ○ დააკონკრეტეთ სწავლის შედეგები იმგვარად, რომ მათ რეალისტურად ასახონ პროგრამის შინაარსი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის : ○ გააუმჯობესეთ სწავლის შედეგების აღწერა, რათა უფრო კონკრეტულად ერგებოდენენ კონკრეტულ პროგრამას. ○ მიეცით შედეგების შეფასებას ოფიციალური ხასიათი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათზე მუშაოის საკმარისი მტკიცებულებები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მიიჩნევა ერთადერთ სადოქტორი პროგრამად აღნიშნულ დარგში.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან		[redacted]		

პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება ენიჭება პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს და რომელსაც მიიღებენ ფაკულტეტის დროებით კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე, მხედველობაში მიიღებენ რა მის სამეცნიერო გამოცემებს, მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში და სხვა დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან (სერტიფიკატები, დიპლომები, პატენტები და ა.შ.). ჩარიცხვის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ხელმისაწვდომობით. რელევანტური ინფორმაცია წარმოდგენილია აკადემიურ პროგრამაში. იგი ნაწილობრივ ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაციები პროგრამის კატალოგში მითითებული საკონტაქტო პირებისაგან. პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები ასახავს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სტუ-სა და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ვებ-გვერდზე ○ სადოქტორო პროგრამა.
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ გააუმჯობესეთ ვებ-გვერდზე მოცემული ინფორმაცია (განსაკუთრებით კი ინგლისური ვერსია).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პროგრამაზე მიღების გამჭვირვალე პირობები.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არავითარი საგულისხმო მიღწევა.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, ძირითადად, შემუშავებულია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, რატიფიკაციის, ცვლილებების შეტანის, შეწყვეტის წესები და პროცედურები, რომელიც მოიცავს პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებს და მათთან დაკავშირებულ ყველა პროცესებს. პროგრამა, ასევე, ემყარება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის უნივერსიტეტში შემუშავებულ სტანდარტებს. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის 180 კრედიტი განაწილებულია სასწავლო და კვლევით კომპონენტზე. სასწავლო კომპონენტი შედგება 60 კრედიტისაგან, ხოლო კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტისაგან.

პროგრამა მოიცავს მხოლოდ სავალდებულო კურსებს და სტუდენტებს არჩევით კურსებს არ თავაზობს, რაც პროგრამისთვის მნიშვნელოვანი უკანდახევაა.

პროგრამის კურიკულუმი არ შეიცავს კურსს ,,თანამედროვე კვლევა მენეჯმენტში. უნივერსიტეტის სასწავლო კურსი ,,აკადემიური წერა და კვლევა" ვერ ასრულებს ამ ფუნქციას მისი შინაარსისა და მიზნების გამო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა
- თვითშეფასების ანგარიში
- შეხვედრები პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- – შესთავაზეთ სტუდენტებს არჩევითი კურსების უფრო დიდი არჩევანი, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, ჩამოიყალიბონ ინდივიდუალური პროფილი მათი აკადემიური ინტერესების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- იფიქრეთ პროგრამის უფრო სპეციფიურად მორგებაზე კურსდამთავრებულთა კონკრეტული "სამიზნე" თანამდებობებისათვის.

დაფიქრდით იმაზე, რომ დოქტორანტ სტუდენტებს შესთავაზოთ მესამე საფეხურისთვის შესამისი აკადემიური კურსები, როგორიცაა თანამედროვე კვლევა მენეჯმენტში, ფინანსებში, მარკეტინგში და სხვ.

- დაფიქრდით იმაზე, რომ გაიზარდოს კურსის- კვლევის მეთოდოლოგია- კრედიტების რაოდენობა, რათა სტუდენტებმა პრაქტიკული გამოცდილებაც მიიღონ თანამედროვე კვლევითი პროგრამების გამოყენების გზით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის დადებითად შეფასება.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული ძირითადი კურსის სწავლის შედეგები მეტნაკლებად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და ყველა აკადემიური კურის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა, ყველა კურსის სწავლის შედეგები არ უნდა ჩანდეს პროგრამის სწავლის შედეგებში. კერძოდ, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ნუსხა საკმაოდ გრძელია, პირს შეუძლია სწავლის შედეგები აღმოაჩინოს ზოგი კურსის სილაბუსში, რომელიც არ არის პროგრამის სწავლის შედეგებში ჩამოთვლილი. მაგალითად: ,,სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემები ტრანსპორტსა და ინდუსტრიაში". კურსის შინაარსი და დასახელება ერთმანეთს არ შეესაბამება. უფრო მეტიც, კურსის შინაარსი არ შეესაბამება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურს.

აკადემიური პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგია: ,,უზრუნველყოს სტუდენტი ღრმა თეორიული ცოდნით ბიზნესის ყველა სფეროში (სამეწარმეო ბიზნესი, ინოვაციები და ახალი ტექნოლოგიები, ფინანსური და შუალდეური ოპერაციები, მარკეტინგი, დაზღვევა, დაბეგვრა, და ა.შ.)" თუმცა, კურიკულუმი და სასწავლო კურსები არ იძლევიან ამ შედეგების მიღწევის საშუალებას.

რაც შეეხება ორ არჩევით კურსს, „თემატური სემინარი 1 და 2“, მათ არ აქვთ სილაბუსები და შეუძლებელია იმის შეფასება, თუ რამდენად კარგად შეესაბამება ისინი პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამის აკადემიური პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების კონცეფციას, მაგრამ ესაჭიროება შემდგომი ტრენინგი როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის შედეგების ეფექტური შეფასება და მისი შედეგების გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა
- თვითშეფასების ანგარიში
- შეხვედრები პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა როგორც პროგრამის, ისე კურსების დონეზე;
- სილაბუსის -,,სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემები ტრანსპორტსა და ინდუსტრიაში"- შემუშავება უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მესამე დონის მოითხოვნების შესაბამისად .
- შემუშავდეს სწავლის შედეგები სადოქტორო ნაშრომისათვის;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- იყავით უფრო კონკრეტულები თითოეული კურსისთვის სწავლის შედეგების განსაზღვრისას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არავითარი საგულისხმო მიღწევა.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად რეალისტურია. აქცენტი გაკეთებულია სამეცნიერო და კვლევით უნარებზე, რასაც უზრუნველყოფენ სავალდებულო კურსები და პუბლიკაციების გამოქვეყნების მოთხოვნა. სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებში შეზღუდულია იმ პროექტებიდან გამომდინარე, რაც ხორციელდება სკოლაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამა. ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ ხელი შეუწყვეთ სტუდენტთა მეტ მონაწილეობას კვლევით პროექტებსა და აქტივობებში შიდა გრანტების და პოტენციური კვლევითი სტიპენდიების მეშვეობით- მაგ; გამოიყენეთ გერმანიასთან ურთიერთობის პოტენციალი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ თანამშრომლობა ვაიმარის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან და სტუდენტთა ჩართვა;
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არავითარი საგულისხმო მიღწევა.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის (SCL) მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლა-სწავლების მეთოდები საკმაოდ ფორმალიზებულად არის აღწერილი, ასევე არ არის ნაჩვენები სხვადასხვა კურსის სხვადასხვა მოთხოვნები. თუმცა, სწავლისა და სწავლების მეთოდები, ზოგადად, შეესაბამება განათლების დონეს და გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო პროგრამის აღწერა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრებები ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: ○ სხვადასხვა კურსების განსხვავებული მოთხოვნების ასახვის მიზნით გაიმიჯნოს გამოყენებული სწავლების მეთოდების აღწერა; ○ განახორციელეთ სწავლის შედეგების აღწერის სტანდარტიზაცია;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ შეტანილ იქნეს სტუდენტების მიერ კურსის შეფასების კითხვარში კითხვები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ, ○ ორგანიზება გაუწიეთ თანამშრომლებისათვის ბოლონიის პროცესთან დაკავშირებულ სემინარებს და ვორქშოპებს (მათ შორის, მუშაობა ფოკუსით ILO-ებზე და SCL-ზე).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ სტუდენტთა მიერ მოწონებული პროგრამის მოქნილობა;
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს, სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში, შესაბამისი საგნისა და განსაზღვრული სწავლის შედეგების თავისებურებათა გათვალისწინებით. შეფასების მეთოდები და ფორმები, რომლებიც ემსახურება კურსის სწავლის შედეგების მიღწევას, სწავლების მეთოდებთან ერთად, გაწერილია სადოქტორო პროგრამის სილაბუსებში. პროგრამაში გამოყენებული შეფასების მეთოდები კარგად დადგენილი და სტანდარტიზებულია. ისინი გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სადოქტორო პროგრამის აღწერა ○ გასაუბრებები ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ უზრუნველყავით ოფიციალური (დასაბუთებადი) უკუკავშირი სტუდენტებისთვის მათი შეფასების შესახებ, მათ შორის რეკომენდაციები სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ საინფორმაციო სისტემა, რომელიც იძლევა სტუდენტთა შეფასების გამოქვეყნების შესაძლებლობას.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობა და ობიექტურობა;
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისო ☐ ნაწილობრივ შესაბამისობ ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		[redacted]	[redacted]	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; პროგრამის პერსონალი ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას აღნიშნული სერვისების შესახებ, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციებს ინდივიდუალური თხოვნით, ისევე, როგორც ადმინისტრაციულ დახმარებას როგორც ეს აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში და განმარტებულია კურსების აღწერაში. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. ასევე, უზრუნველყოფს სტუდენტებს სათანადო ინფორმაციით და საჭირო დახმარებით, რაც მაღალ შეფასებას იღებს სტუდენტების მხრიდან, თუმცა სტუდენტების ექსპოზიცია საერთაშორისო პროექტებსა და პედაგოგებზე საჭიროებს გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ კურსის აღწერები ○ გასაუბრებები ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: ○ გაიზარდოს სტუდენტთა "გამოჩენა" საერთაშორისო პროგრამაში მეტი საერთაშორისო მეცნიერის და პედაგოგის მოწვევით;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სტუდენტებისათვის არსებული მომსახურებების გაცნობა შესაძლოა გაუმჯობესდეს მეტი ინფორმაციის განთავსებით ვებ-გვერდზე და სტუდენტებთან კომუნიკაციის სხვა არხებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ ინდივიდუალური მიდგომა სტუდენტისადმი.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არავითარი საგულისხმო მიღწევა.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია სათანადო დონეზეა. სტუდენტებს მხოლოდ პროფესორები და ასოცირებული პროფესორები ხელმძღვანელობენ, რაც წარმოადგენს ხარისხის ზედამხედველობის საკმარის უზრუნველყოფას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტი დროს
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ გაზარდეთ სტუდენტთა ინფორმირებულობა ხელმისაწვდომ საერთაშორისო რესურსებზე და მათთვის დახმარება დისერტაციისთვის ამ რესურსების გამოყენებაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არავითარი საგულისხმო მიღწევა.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	■			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი ფლობს პროგრამის შესაბამის კომპონენტში მოცემული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად საჭირო კომპეტენციებს. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციები დასტურდება აკადემიური ნაშრომებით. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შეესაბამება და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელი სათანადოდ კვალიფიციური და გამოცდილია იმისათვის, რომ გაუმჯობესოს პროგრამის ხარისხი და თავადაც ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. სტუდენტები შესაბამისად კვალიფიციური პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილნი არიან სათანადო ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრებები ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ მოხდეს არსებული მომსახურებებისა და რესურსების სისტემატიზება და უზრუნველყოფილ იქნეს მათი მკაფიო აღწერა ვებ-საიტზე, პასუხისმგებელი თანამშრომლების ლინკებით. ○ შეინახეთ ჩანაწერები შემოსულ მოთხოვნებზე გაწეულ მომსახურებებზე და გამოიყენეთ ეს ჩანაწერები ძალისხმევის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამის ფინანსური სტაბილურობის საშულაებით ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარებაში დახმარების უზრუნველყოფა;
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პერსონალის შეფასება ხდება არაფორმალურ დონეზე. როგორც გვითხრეს, იგი კეთდება რეგულარულად, თუმცა ფორმალური ჩანაწერი არ იქნა წარმოდგენილი. პერსონალი მკაფიოდ აცხადებს, რომ ისინი გრძნობენ საკმარის დახმარებას მათ ინდივიდუალურ განვითარებაში, მათ შორის ფინანსურს კონფერენციებში მონაწილეობისათვის და სხვ. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობა შეიძლება გაუმჯობესდეს, ასე, რომ ინდივიდუალური პროფესიული ზრდის გეგმებთან დაკავშირებით მხარდაჭერაც, ასევე, შეიძლება უკეთ იყოს დაგეგმილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრებები ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ განიხილეთ კონფერენციებზე მონაწილეობისა და დახმარების სხვა ფორმების დაკავშირება ინდივიდუალური პროფესიული ზრდის გეგმებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პერსონალის კმაყოფილება კონფერენციებისთვის გამოყოფილი დაფინანსებით და ა.შ.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტექნიკური აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა ეხმარება პროგრამის მიზნების უზრუნველყოფას. უნივერსიტეტი ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისადმი. ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის. წიგნადი ფონდი შეესაბამება პროგრამის აკადემიური კურსებში მითითებულ ლიტერატურას. ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა საჭიროებს განახლება/გაუმჯობესებას, რათა უკეთ ასახოს თანამედროვე საჭიროებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრებები ვიზიტის დროს ○ ობიექტების მონახულება ადგილზე ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ მოამზადეთ ინვესტირების გეგმა ფიზიკური ინფრასტრუქტურის უახლეს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის აქტიური ზრდა;
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის დაფინანსება ხდება უნივერსიტეტის ერთიანი წესის შესაბამისად. ფაკულტეტის ფინანსები გამოყოფილია ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. აკადემიური პროგრამა ფინანსურად მდგარდია, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის გამოცდილებით. როგორ წინა თავში აღინიშნა, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს გამოყენებული ფიზიკური რესურსების განახლებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრებები ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ განიხილეთ დამატებითი ფინანსების გამოყოფა სტუდენტთათვის საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობის წასახალისებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამის მდგრადი ბიუჯეტი მისი გაგრძელების უზრუნველსაყოფად;
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	■			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პროცედურა, რომელიც სისტემატური მონიტორინგით განავითარებს პროგრამის ხარისხს, მისი შინაარსის, პროცესების და შედეგების კუთხით, დადგენილია. მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი კარგადაა აღჭურვილი კვალიფიციური პერსონალით და აუცილებელი ტექნიკური დახმარებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სტუ-ს შინაგანაწესი ○ გასაუბრებები ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ ყურადღება მიაქციეთ ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს, მათ შორის სტუდენტის/პერსონალის/კურსდამთავრებულის/დამსაქმებლის გამოხმაურების კითხვარებს და მათი შედეგების დამუშავებასა და გამოქვეყნებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ ხარისხის უზრუნველყოფის გუნდში პროგრამის პერსონალის სისტემატური ჩართულობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ თავდადებული პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება სახელმწიფო აუდიტის და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. სახეზეა დაწესებულების რეაგირება აუდიტის შედეგებზე, რომელიც გამოიყურება შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრებები ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: ○ არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ პროგრამის მზადყოფნისა და საერთაშორისო ვარგისიანობის დემონსტრირების მიზნით განხილულ იქნეს საერთაშორისო აკრედიტაციისათვის მომზადება და მიმართვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არავითარი საგულისხმო მიღწევა.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიმოხილვა და მონიტორინგი ხორციელდება უფრო არაფორმალურად. მიუხედავად იმისა, რომ მიმოხილვაზე დახარჯულია აშკარა ძალისხმევა, ფორმალური ჩანაწერები, როგორც წესი, არ არსებობს და არ ხდება სისტემატურად მათზე მუშაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრებები ვიზიტის დროს ○ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტები (აკადემიური საბჭოს დადგენილებები, დეპარტამენტების ოქმები და ა.შ.)
რეკომენდაციები: ○ მოხდეს კურსზე გამოხმაურების კითხვარების შეგროვების სისტემატიზაცია და რეაგირება იდენტიფიცირებულ საკითხებზე; ○ დაიწყოს პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევების შედეგების შეკრება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ თავდადებული პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	■			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 22

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		■		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		■		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	■			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	■			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	■			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

პაველ ზუფანი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

გოჩა თუთბერიძე

ბ-ნი ოთარ ქირია